



პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები და სენსიტიურობა მაკროეკონომიკური პარამეტრების საბაზისო სცენარისაგან განსხვავებული განვითარების შემთხვევაში

(განახლება 2014 წლის ფაქტობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით)

მარტი, 2015 წელი



პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

განახლების შესახებ

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების განახლება მიზნად ისახავს, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული დასკვნაში „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ ასახული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებისა და სენსიტიურობის ანალიზის განახლებას 2014 წლის ფაქტობრივ მონაცემების გათვალისწინებით. აღნიშნული ანგარიშის მომზადება უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთათვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოსალოდნელი საგადასახადო შემოსავლების და მაკროეკონომიკური პარამეტრების განსხვავებული განვითარების შემთხვევაში მოსალოდნელი გადახრების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

2015 წელი

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები და სენსიტიურობა მაკროეკონომიკური პარამეტრების საბაზისო სცენარისაგან განსხვავებული განვითარების შემთხვევაში

2015 წლის ბიუჯეტის კანონპროექტზე დასკვნებში ასახულ იქნა 2015 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზები 2014 წლისთვის მოსალოდნელი საგადასახადო შემოსავლების შესახებ განსხვავებული დაშვებების გათვალისწინებით. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული საგადასახადო შემოსავლების გეგმური მაჩვენებლების სრულყოფილად შეფასებისა და მაკროეკონომიკური პარამეტრების განსხვავებული განვითარების შემთხვევაში მოსალოდნელი გადახრების შესახებ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად, ქვემოთ წარმოდგენილი ანგარიში ასახავს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ საგადასახადო შემოსავლების განახლებულ საპროგნოზო მაჩვენებლებს, 2014 წლის საგადასახადო შემოსავლების ფაქტობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ არსებული მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და მაკროეკონომიკური პარამეტრების განსხვავებული განვითარების შემთხვევებისთვის.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზირებისას, საბაზისო სცენარად განხილულია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) წარმოდგენილი ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის დონისა და საქონლის იმპორტის ზრდის მონაცემები¹, ეკონომიკური ზრდა - 5%; ინფლაცია - 4%; საქონლის იმპორტის ზრდა - 16%. ხოლო 2014 წლისთვის გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური ზრდის და ინფლაციის მოსალოდნელი მაჩვენებლები, შესაბამისად 4.7% და 3.1%-ის ოდენობით. მაკროეკონომიკურ აგრეგატებსა და საგადასახადო შემოსავლებს შორის ელასტიურობის კოეფიციენტები² დაშვების საფუძველზე განისაზღვრება და ძირითად შემთხვევებში 1-ს უტოლდება. მიუხედავად იმისა, რომ გადასახადების ცალკეული ტიპებისათვის ელასტიურობის კოეფიციენტი შესაძლოა განსხვავდებოდეს, ელასტიურობის კოეფიციენტის 1-თან ტოლობის დაშვება, დამატებითი კვლევების არარსებობის შემთხვევაში, საერთაშორისო პრაქტიკით, მისაღებად ითვლება. ამასთან, ერთი მხრივ, საყურადღებოა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლები არ ითვალისწინებს შემოსავლების სარეზერვო ქვეანგარიშზე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებიდან მიმართულ სახსრებს, შესაბამისად, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზები ითვალისწინებს დაშვებას, რომ 2014-2015 წლებში ზემოაღნიშნული სახსრები უტოლდება დაუბეგრავი მინიმუმის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს საშემოსავლო გადასახადიდან ფაქტობრივად მიმართულ ოდენობას (128.3 მლნ ლარი). მეორე მხრივ, კი აღნიშნული კალკულაცია ეყრდნობა აქციზის განაკვეთის ცვლილების შედეგად მოსალოდნელი ზეგავლენის დაშვებას 110 მლნ ლარის დონეზე, თუმცა

¹ საბაზისო სცენარად აღნიშნული მაკროეკონომიკური პარამეტრების განხილვა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ამ ეტაპამდე ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD) კორექტივები არ შესულა. შესაბამისად, განსხვავებული განვითარების შემთხვევაში საგადასახადო შემოსავლების მოსალოდნელი მაჩვენებლები წარმოდგენილია სენსიტიურობის ანალიზის სახით.

² ელასტიურობის კოეფიციენტი ასახავს საგადასახადო შემოსავლების (ცალკეული ტიპების მიხედვით) %-ულ ცვლილებას ეკონომიკურ პარამეტრებს 1%-ით ცვლილების გავლენით.

აღნიშნულ ოდენობასთან დაკავშირებით, როგორც აღნიშნულ იქნა საბიუჯეტო ოფისის დასკვნაში საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, მიზანშეწონილია დამატებით გამახვილდეს ყურადღება შესაბამის პროდუქციაზე მოთხოვნის მოსალოდნელ ცვლილებაზე ფასის ზრდის გავლენით. როგორც ცხრილიდან #1 ჩანს, ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულია საგადასახადო შემოსავლების მოცულობის ზრდა 10.8%-ით 2014 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელთან მიმართებაში, თუმცა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დამოუკიდებელი პროგნოზით საბაზისო მაკროეკონომიკური სცენარით (რეალური მშპ-ს ზრდა 5%, ინფლაცია 4%) საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპი 10.3%-ს უტოლდება (იხ. ცხრილი 1).

საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპი

	2010-2011წწ	2011-2012წწ	2012-2013წწ	2013-2014წწ	2014-2015წწ	2014-2015წწ**
სულ	26.3%	8.8%	-0.4%	8.9%*	10.8%*	10.3%*
საშემოსავლო გადასახადი	28.6%	13.7%	9.7%	6.9%*	15.4%*	10.3%*
მოგების გადასახადი	44.5%	2.3%	-5.2%	2.8%	8.6%	8.7%
დამატებული ღირებულების გადასახადი	26.4%	9.2%	-6.3%	15.8%	7.0%	9.2%
აქციზი	9.7%	7.2%	9.5%	12.2%	16.9%	16.0%
იმპორტის გადასახადი	32.4%	-3.4%	-0.8%	6.2%	20.1%	15.9%
სხვა გადასახადები	-40.4%	-10.3%	-26.2%	-9.1%	3.5%	3.5%

ცხრილი 1: საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპი (% 2010-2015 წწ).

*საშემოსავლო გადასახადის დათვლისას გათვალისწინებულია საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნებისათვის ხაზინის შესაბამის ქვანაგარიზე გადატანილი სახსრები (სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულმა სახსრებმა ჯამში 128.3 მლნ შეადგინა).

**აღნიშნული სვეტი ასახავს ზრდის ტემპს 2014 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელსა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის დამოუკიდებელ პროგნოზს შორის.

როგორც ცხრილიდან #2 ჩანს, აღნიშნული სცენარით, 2015 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ჯამური საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 7,694 მლნ ლარს, რაც 2015 წლისთვის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელზე 34 მლნ ლარით (0.4%-ით) ნაკლებია. რაც შეეხება გადასახადების ცალკეულ ტიპებს, საშემოსავლო გადასახადისათვის გაანგარიშებული საპროგნოზო მაჩვენებლები 97 მლნ ლარით (-4.4%, შესაბამისად) ნაკლებია 2015 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ შესაბამის მაჩვენებელზე. თუმცა ამავდროულად, საპროგნოზო მაჩვენებლის შედარება ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელთან ავლენს, რომ დღგ-სა და მოგების გადასახადისთვის კანონით წარმოდგენილია მობილიზების შედარებით კონსერვატული სცენარი. (მოგების გადასახადისთვის საპროგნოზო მაჩვენებელი 1 მლნ ლარით აღემატება ბიუჯეტის გეგმას, ხოლო დღგ-სთვის 73 მლნ ლარით).

საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (BDD-ით განსაზღვრული საბაზისო სცენარით)

	გეგმა (2015)	საპროგნოზო მაჩვენებლები*	საპროგნოზო მაჩვენებლების გადახრა ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმიდან	გადახრა(%)
საგადასახადო შემოსავლები	7,728,000	7,694,000	-34,000	-0.4%

საშემოსავლო გადასახადი**	2,213,000	2,116,000	-97,000	-4.4%
მოგების გადასახადი	900,000	901,000	1,000	0.1%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,529,000	3,602,000	73,000	2.1%
აქციზი	947,000	940,000	-7,000	-0.7%
იმპორტის გადასახადი	114,000	110,000	-4,000	-3.5%
სხვა გადასახადები	25,000	25,000	0	0.0%

* საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მისაღებად გათვალისწინებულია 2014 წლის არსებული ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფაქტიური მონაცემები, ასევე 2015 წლისთვის ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის დონის, საქონლის იმპორტის ზრდის მონაცემები BDD-ის მიხედვით.

** საშემოსავლო გადასახადის დათვლისას გათვალისწინებულია საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნებისათვის ხაზინის შესაბამის ქვეანგარიშზე გადატანილი სახსრები (სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულმა სახსრებმა ჯამში 128.3 მლნ შეადგინა).

ცხრილი 2: საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (ათასი ლარი, 2015 წელი).

რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლების შესაძლო გადახრების მაგნიტუდას ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების ზემოაღნიშნული სცენარიდან განსხვავებული განვითარების შემთხვევაში, რაც განსაკუთრებით აქტუალურია მიმდინარე მაკროეკონომიკური ტენდენციებისა და მაკროეკონომიკური გარემოს პროგნოზების ცვლილების გათვალისწინებით. კერძოდ, ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია საგადასახადო შემოსავლების ჯამური მაჩვენებლისა და მისი ცალკეული სახეების სენსიტიურობის შესახებ რეალური მშპ-ს ზრდის ტემპისა და ინფლაციის ოფიციალური პროგნოზებისაგან გადახრების შემთხვევაში 2014 წლის ფაქტობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. ანალიზი ეყრდნობა ზემოთ მოცემულ დაშვებებს დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში გასაცემი სახსრებისა და აქციზის განაკვეთის ცვლილების მოსალოდნელი ზეგავლენის გათვალისწინებით. ამასთან არ ითვალისწინებს, იმ შესაძლო მეორე რიგის ეფექტებს, რომლებიც მაკროეკონომიკური გარემოს განსხვავებული განვითარების შესაბამისად ფისკალური პოლიტიკის ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს საბიუჯეტო აგრეგატებზე.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ოფიციალური საპროგნოზო მაჩვენებლებისაგან, რეალური მშპ-ს ზრდისა ან ინფლაციის კლების მიმართულებით 1%-იანი გადახრის შემთხვევაში, საგადასახადო შემოსავლების ჯამური მაჩვენებელი ბიუჯეტით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელზე საშუალოდ 1.2%-ით (92 მლნ ლარით და 90 მლნ ლარით, შესაბამისად) ნაკლებია. გადახრა იზრდება იმ შემთხვევაში როდესაც რეალური მშპ-ს ზრდა და ინფლაცია ერთობლივად 1%-ით ნაკლებია მოსალოდნელ მაჩვენებელზე ანუ 4%-იანი ეკონომიკური ზრდისა და 3%-იანი ინფლაციის პირობებში საგადასახადო შემოსავლების ჯამური მაჩვენებელი 147 მლნ ლარით (1.9%-ით) ნაკლებია ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული მაჩვენებლისგან.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

	გეგმა (2015)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
1.1 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზს გადააჭარბებს 1%-ით	7,728,000	7,753,000	25,000	0.3%

1.2 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 1%-ით	7,728,000	7,636,000	-92,000	-1.2%
1.3 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში ინფლაცია ოფიციალურ პროგნოზს გადააჭარბებს 1%-ით	7,728,000	7,749,000	21,000	0.3%
1.4 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში ინფლაცია ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 1%-ით	7,728,000	7,638,000	-90,000	-1.2%
1.5 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი და ინფლაცია ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 1%-ით	7,728,000	7,581,000	-147,000	-1.9%
1.6 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 1%-ით, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი ოფიციალურ პროგნოზს 1%-ით გადააჭარბებს	7,728,000	7,690,000	-38,000	-0.5%

ცხრილი 3: საგადასახადო შემოსავლების სენსიტიურობა მაკროეკვლადების საპროგნოზოდან 1%-ით გადახრისას (ათასი ლარი, %).

აქვე საყურადღებოა, განვიხილოთ ის შემთხვევები, როდესაც ეკონომიკური ზრდა საბაზისო სცენარისგან განსხვავდება და 2%-3%-ს შეადგენს, ხოლო ინფლაცია ან საბაზისო დონეს (4%) უტოლდება, ან 1%-2% გადახრას ავლენს საბაზისო დონიდან. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში როდესაც ეკონომიკური ზრდა 3%-ია, ხოლო ინფლაცია საბაზისო სცენარით განსაზღვრულ დონეზეა (4%), საგადასახადო შემოსავლები 151 მლნ ლარით (2.0%-ით) ნაკლებია ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელზე. იმ შემთხვევაში თუ 3%-იანი ეკონომიკური ზრდის დროს, ინფლაციის მაჩვენებელი 5%-ს შეადგენს, აღნიშნული სხვაობა 98 მლნ ლარს (1.3%) შეადგენს ნაკლებია. ხოლო, თუ ეკონომიკური ზრდაც და ინფლაციაც 3%-იან ნიშნულს გაუტოლდება, მაშინ საგადასახადო შემოსავლების გეგმური მაჩვენებლისაგან გადახრა 205 მლნ ლარს (2.7%) უტოლდება.

რაც შეეხება რეალური მშპ-ს ზრდის 2% ნიშნულზე დაფიქსირების დროს საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის ტენდენციას, აღნიშნული სცენარის დროს და 4%-იანი ინფლაციის პირობებში, საგადასახადო შემოსავლები 210 მლნ ლარით (2.7%-ით) ნაკლებია გეგმურ მაჩვენებელზე. თუ ანალოგიური რეალური მშპ-ს ზრდის პირობებში, ინფლაციის მაჩვენებელი საბაზისო ნიშნულს 1%-ით გადააჭარბებს (ანუ 5%-ს გაუტოლდება), ზემოაღნიშნული სხვაობა 156 მლნ ლარს (2.0%-ით) შეადგენს. ხოლო 2%-იანი ეკონომიკური ზრდის და 3%-იანი ინფლაციის პირობებში გადახრა იზრდება და საგადასახადო შემოსავლების გეგმურ მაჩვენებლისგან გადახრა 263 მლნ ლარს (3.4%) უტოლდება.


სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები				
	გეგმა (2015)	პროგნოზი	გადახრა (ათასი ლარი)	გადახრა (%)
1.1 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 2%-ით, ხოლო ინფლაცია ოფიციალურ საპროგნოზო მაჩვენებელს უტოლდება	7,728,000	7,577,000	-151,000	-2.0%

1. 2 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 2%-ით, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი ოფიციალურ პროგნოზზე 1%-ით ნაკლებია	7,728,000	7,523,000	-205,000	-2.7%
1. 3 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 2%-ით, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი ოფიციალურ პროგნოზს გადააჭარბებს 1%-ით	7,728,000	7,630,000	-98,000	-1.3%
1. 4 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 3%-ით, ხოლო ინფლაცია ოფიციალურ საპროგნოზო მაჩვენებელს უტოლდება	7,728,000	7,518,000	-210,000	-2.7%
1. 5 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 3%-ით, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი ოფიციალურ პროგნოზზე 1%-ით ნაკლებია	7,728,000	7,465,000	-263,000	-3.4%
1. 6 პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა თუ სხვა თანაბარ პირობებში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ოფიციალურ პროგნოზზე ნაკლებია 3%-ით, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი ოფიციალურ პროგნოზს გადააჭარბებს 1%-ით	7,728,000	7,572,000	-156,000	-2.0%

ცხრილი 4: საგადასახადო შემოსავლების სენსიტიურობა მაკროეკონომიკის საპროგნოზო მაჩვენებლებისგან გადახრისას (ათასი ლარი, %).


საბაზისო სცენარით, ასევე მაკროეკონომიკური პარამეტრების საბაზისო სცენარიდან გადახრების შემთხვევაში მიღებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 2015 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან ერთად წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე.

საგადასახადო შემოსავლები




დიაგრამა 1: საგადასახადო შემოსავლების პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა სხვადასხვა ალტერნატივებისას (ბიუჯეტის გეგმა: 7,728 მლნ ლარი).

საშემოსავლო გადასახადი



დიაგრამა 2: საშემოსავლო გადასახადის პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა სხვადასხვა ალტერნატივებისას (ბიუჯეტის გეგმა: 2,213 მლნ ლარი).


დღგ



დიაგრამა 3: დღგ-ს პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა სხვადასხვა ალტერნატივებისას (ბიუჯეტის გეგმა: 3,529 მლნ ლარი).



აქციზი



დიაგრამა 4: აქციზის პროგნოზის ბიუჯეტის გეგმიდან გადახრა სხვადასხვა ალტერნატივებისას (ბიუჯეტის გეგმა: 947 მლნ ლარი).